ოქმი:**ო37. 3726204001**

თარიღი:**23/07/2026**

ოქმი N 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2026 წელი, 22 ივლისი

ქ. ოზურგეთი

11:00 -12:00-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, ტ. აროშიძე, პ. კიღურაძე, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, ტ. ბარამიძე, ბ. თოიძე.

საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი-გ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსულია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წერიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ტატა ბარამიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის პრევენციით, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

5. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი"-თ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა განსაზღვრისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლში ზომამცირე გემების ბაზირების პუნქტების ადგილების განსაზღვრის შესახებ” **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, შრომის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე (ს. კ 26.02.09.292, 26.02.09.349, 26.02.09.136, 26.02.09.291, და 26.02.09.131) ტურისტული და დასასვენებელი კომპლექსის (დამხმარე ინფრასტრუქტურით) მშენებლობისათვის დეტალური გეგმის შემუშავების, ინიცირების და დავალების გაცემის თაობაზე” - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

8. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 დეკემბრის №2260 განკარგულების საფუძველზე გაფორმებული უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე"- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

9. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N 12 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

10.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნატანების ადმინისტრაციული ერტეულის ტერიტორიაზე(ს.კ 26.01.75.098; 26.01.75.172; 26.01.75.099;26.01.75.044; 26.01.75.173 და 26.01.75.007) ბეტონის საწარმოს მოწყობა/ მშენებლობის(დამხმარე ინფრასტრუქტურით) დეტალური გეგმის სემუსავების, ინიციპებისა და დავალების გაცემისთაობაზე”- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის,მერის გადაწყვეტილების შეთანხმების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

11. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2,3,4, საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

2. N 5 საკითხი განსახილველად და საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(გ. მდინარაძე).

3. N 6 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში, განსახილველად და საკრებულოს და ბიუროს სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე), კონტროლი სკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების ამ პუნქტის შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ტ. აროშიძეს.

4. N7,10 საკითხები განსახილველად და საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე), კონტროლი სკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების ამ პუნქტის შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ტ. აროშიძეს.

5. N8 საკითხი განსახილველად და საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე დასკვნების წარმოსადგენად დაეწეროთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიებს (დ.ჭაკნელიძე, ბ.თოიძე, გ.მდინარაძე), კონტროლი სკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების ამ პუნქტის შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ტ. აროშიძეს.

6. N 9 საკითხი განსახილველად და საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(გ. ჩავლეშვილი), კონტროლი სკრებულოს ბიუროს გადაწყვეტილების ამ პუნქტის შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დ. კიკვაძეს.

7. N 11 საკითხი განსახილველად და საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(ტ. ბარამიძე), მანვე უზრუნველყოს N1 და N11 საკითხების გაერთიანება და, დადგენილების პროექტების ავტორებთან შეთანხმებით, საკრებულოს მორიგ სხდომაზე ერთი დადგენილების პროექტის სახით წარმოდგენა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

